



22.01.2013

# გია ცაგარეიშვილი: „ვფიქრობ, დარიალჰესზე ნებართვა კანონდარღვევით გაიცა“

ახალი ამბები



შეუერთდი განხილვას



## ამავე თემაზე

გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ დარიალჰესის

- ბრძოლა თერგისთვის - დარიალჰესის საქმე
- „კანონი ადამიანისთვისაა!“ - მოხევეები ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ
- სააპელაციო სასამართლომ დარიალჰესის საქმე გადაწყვიტა
- “რა არის დარიალი თერგის გარეშე?!”
- “ხუდონის ჰესი ქვეყნისთვის მომგებიანი არ იქნება”

საქმეზეც ისაუბრა. მისი თქმით, ის სულაც არ ეთანხმება სასამართლოს

გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, მდინარე თერგზე დარიალჰესის მშენებლობაზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური დასკვნა ძალაში დარჩა

„სულაც არ გამიხარდა, რომ „მწვანე ალტერნატივამ“ ეს საქმე წააგო. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ლიცენზია კანონდარღვევით გაიცა,“ - განაცხადა ცაგარეიშვილმა.

კითხვაზე შესაძლებელია თუ არა დარიალჰესის მშენებლობის შეჩერება და მორატორიუმის გამოცხადება (როგორც ეს ხუდონჰესის შემთხვევაში მოხდა), სანამ კონკრეტული გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ცაგარეიშვილი ამბობს, რომ მორატორიუმის პრინციპს ამ შემთხვევაში ვერ გამოიყენებენ.

„დარიალჰესთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადება გაჭირდება, რადგან აქ უკვე დიდი სამუშაოებია შესრულებული. მართალია, ხუდონზეც საკმაოდ დიდი სამუშაო იყო გაწეული, მაგრამ ეს პროექტი, პრაქტიკულად, მიტოვებულია.

დარიალჰესის შემთხვევაში კი კონკრეტული კომპანიის ბიზნეს ინტერესებთან გვაქვს საქმე. ხელისუფლება ასე უეცრად და არაპროგნოზირებულად ბიზნესის განვითარებაში ვერ ჩაერევა, მათ შორის ვერც ამ სფეროში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბიზნესი თავაშვებულად მოიქცეს და დაარღვიოს კანონი და გარემოსდაცვითი ნორმები. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტერესებისა და ნების სინთეზი, როგორმე ოქროს შუალედი უნდა მოვნახოთ,“ - განმარტავს ცაგარეიშვილი.

ამასთან, ის ამბობს, რომ აუცილებელია ჰესის მშენებელ კომპანიასთან ყოველდღიური ურთიერთობა, რათა მათ იგრძნონ, რომ დიდი ყურადღების ქვეშ არიან. გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ყაზბეგში, ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის მშენებლობასაც უარყოფითად აფასებს და ამბობს, რომ კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს, რომ თავაშვებული მშენებლობა არ მოხდეს და მშენებელიც კანონისმიერ ლოგიკურ წინააღმდეგობებს წააწყდეს.

ცაგარეიშვილის აზრით, აუცილებელია ყაზბეგის ეროვნული პარკის გაზრდაც, „ჩვენ რეალურად უნდა ვიმსჯელოთ მის გაფართოებაზეც, თუმცა ეს უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და შესწავლილი,“ - განმარტავს კომიტეტის თავმჯდომარე.

გუმინ, „მეცხრე არხის“ ეთერში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა განაცხადა, რომ სამინისტრო გარემოსდამცველებს სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნაში თანამშრომლობას სთხოვს.

„ჩვენ მათ ვთხოვეთ, დაასახელონ სანდო და კვალიფიციური სპეციალისტები, ჩვენც შევარჩევთ სპეციალისტებს და ასეთმა კომისიამ ხელახლა განიხილოს დოკუმენტები და ამის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება,“ - ამბობს ელოშვილი. მინისტრის მოადგილის

განმარტებით, შედეგი შესაძლოა სამგვარი იყოს: ერთ შემთხვევაში, ისინი დარწმუნდებიან, რომ დარიალჰესის მშენებლობა გარემოს შეუქცევად ზიანს აყენებს და ეს დაუშვებელია, მეორე შემთხვევაში - სამინისტროს გადაწყვეტილების მართებულობაში დარწმუნდებიან და მესამე, სამინისტროსა და ეკოლოგების ერთობლივი არგუმენტების საფუძველზე, შუალედურ, კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)



**Xa Ra**

chemi azrit shesacherebelia...2 nabijshi samonastro kompleksia...garemosac damangrevel zians ayenebs...danaxvac kara, rat unda amdeni komisia? :((

[Reply](#) · [Like](#) · [Follow Post](#) · 19 hours ago

Facebook social plugin

